გადავრჩით… “ფახთაქორთან” მარცხს

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 13 აგვისტო.

“დინამო” (თბილისი) – “ფახთაქორი” (ტაშკენტი) 1:1 (0:1).

“დინამო”: მამინაშვილი, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, ჭილაია, ჯოხაძე (მინაშვილი), გუცაევი (ჩელებაძე), ყიფიანი, შენგელია.

“ფახთაქორი”: სტრაშნენკო, კადეიკინი, ენსი, ნიკიფორენკო, დენისოვი, პაკი (შაიმარდანოვი), ივანოვი, ანტონოვი, ნარტაჯიევი, კუხლევსკი, ამირიევი.

მსაჯი: ე. სერგიენკო (ხარკოვი).

გაფრთხილებული არიან ნიკიფორენკო, სტრაშნენკო.

ტაშკენტის “ფახთქორთან” კალენდარული მატჩი სულ ახლახან ჰქონდათ თბილისელ ფეხბურთელებს მეტოქის მინდორზე. ეს იყო პირველი წრის ბოლო ტურში, სსრ კავშირის თასის ფინალური მატჩის წინ.

დინამოელებმა ტაშკენტში დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს (3:0), რაც მათი კარგი სპორტული ფორმის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას მოჰყვა მარცხიანი ფინალი დონეცკის “შახტიორთან”.

და აი, მეორე წრის სტარტი, კვლავ ტაშკენტის “ფახთაქორი”.

და კვლავ, უკვე მერამდენედ წლევანდელ სეზონში დინამოელებმა მაყურებელს უჩვენეს ყოვლად უსისტემო, არაორგანიზებული, პასიური ფეხბურთი. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა პირველ ტაიმში, რომელიც ჩვენმა გუნდმა ძალზე სუსტად, დაბალ დონეზე ჩაატარა. ვერ აღვნიშნავთ ვერც ერთ მოთამაშეს, რომელიც თავის თავზე აიღებდა ინიციატივას. საიერიშო კომბინაციები წყდებოდა შუა მინდორზე, თავდამსხმელები იშვიათად და ისიც ერთობ არაზუსტად ურტყამდნენ კარში.

სამაგიეროდ, “ფახთაქორმა” შეძლო თავისი ერთ–ერთი კონტრიერიშის წარმატებით დამთავრება – გოლი 22–ე წუთზე გაიტანა პაკმა – 1:0.

შედარებით უკეთ ითამაშეს თბილისელებმა შესვენების შემდეგ. ამოქმედდნენ ნახევარმცველები, შეტევაში ჩაებნენ მცველებიც, ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს თავდამსხმელებმა და ბოლოს, უკვე მატჩის დასასრულს (77–ე წუთი) ჩივაძემ შეძლო ბურთის გატანა – 1:1.

მაგრამ ეს იყო გოლი, რომელმაც მხოლოდ დამარცხებას გადაარჩინა დინამოელები. მეტის გაკეთება მათ ვერ შეძლეს.

მეორე წრის სტარტზე ასეთი უღიმღამო თამაში ოპტიმისტურად როდი განაწყობს დინამოელთა გულშემატკივრებს, მით უმეტეს, რომ გუნდს მეტად მძიმე და საპასუხისმგებლო გასვლითი შეხვედრები ელის კიევის “დინამოსთან”, დონეცკის “შახტიორთან”, მოსკოვის “სპარტაკთან”, ცსკ–სთან, მოსკოვის “დინამოსთან”, ლენინგრადის “ზენიტთან”…

იმ დონის თამაშით, როგორიც თბილისელებმა ბოლო ორ მატჩში გვიჩვენეს, რასაკვირველია, გუნდი ვერაფერ სახარბიელოს ვერ შესძენს თავის აქტივს. მდგომარეობა ერთობ დამაფიქრებელია და კოლექტივმა აუცილებლად უნდა გამონახოს ძალები აშკარა კრიზისის დასაძლევად.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 14 აგვისტო, 1980 წ.